



06.08.2015

„ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე გზმ წარადგინეს



„ლიბერალი“

შეუერთდი განხილვას

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ „ნენსკრა ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიში წარადგინა.

ამავე თემაზე

სვანეთი ნემსებზე - "ნენსკრა ჰესის" მოლოდინში

სამინისტროში აცხადებენ, რომ საჯარო შეხვედრების, ასევე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შენიშვნების წარდგენის ვადის შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობს, რომ რა სახითაც სამინისტროში აღნიშნული დოკუმენტია წარდგენილი, მასზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა გაიცეს, რადგან გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტში ბევრი საკითხი საერთოდ შეუსწავლელია და არ შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების მოთხოვნებს.

მისი თქმით, არაა შეფასებული, რა ზემოქმედებას მოახდენს ჰესი მოსავალზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, საძოვრებზე. იქ, სადაც რეზერვუარის აშენება იგეგმება, მართალია, დასახლებული პუნქტი არ არის, მაგრამ ეს ადგილები აქტიურად გამოიყენება საძოვრებად, ხე-ტყის მოპოვებისთვის და ა.შ.

მისივე თქმით, ეს ადგილი ბიომრავალფეროვნების მხრივაც უნიკალურია.

„ჰიდროელექტროსადგურისთვის განსაზღვრულია დაახლოებით 400 ჰექტარამდე ტერიტორიის სრულად გაწმენდა ტყის ფართობებისგან, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ბიომრავალფეროვნებაზე, იქ წარმოდგენილ წითელი ნუსხის სახეობებზე და ა.შ.“, - თქვა ჭიპაშვილმა.

დავით ჭიპაშვილი ამბობს, რომ აღნიშნული გზმ მომზადებულია თავად სააქციო საზოგადოება „ნენსკრას“ დაკვეთით, რომელიც არის საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანია - ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ინვესტორისთვის საპროექტო პაკეტი მომზადდა.

პროექტის ტექნიკური რეზიუმეს ნახვა (I)

პროექტის არატექნიკური რეზიუმეს ნახვა (II)

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნახვა (I ტომი)

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნახვა (II ტომი)